# ხელშეკრულება №10/180
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2015 წლის 30 ოქტომბერი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ – **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,** წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **დავით აფრასიძის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად)
მისამართი: ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22, საკუთარი სახსრებით

მეორეს მხრივ, **შპს „ჯეო ქლინ +“,** წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი ცერცვაძის** სახით, (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“)
მისამართი: ქ. თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ., მე-4 კორპ;
საიდენტიფიკაციო კოდი: 400105006;
საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: TBCBGE 22, ა/ა: GE56 TB77 9653 6080 1000 01

**სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა** და **შპს „ჯეო ქლინ +“-ს** შორის **პოლიგრაფიული მომსახურების შედეგად მიღებული ბრენდირებული უნივერსიტეტის ლოგოიანი კალმების, ა5 ზომის ზამბარიანი ბლოკნოტების, პოლიეთილენის პარკების, ღვინის ბოთლის სასაჩუქრე მუყაოს ჩასადებების, სასკოლო კალენდრებისა (აბიტურიენტების) და სასკოლო რვეულების (აბიტურიენტების)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 ოქტომბრის №**1134529** წერილით, ვადასტურებთ, რომ უნივერსიტეტის ***2015 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების*** ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **პოლიგრაფიული მომსახურების შედეგად მიღებული ბრენდირებული უნივერსიტეტის ლოგოიანი კალმები, ა5 ზომის ზამბარიანი ბლოკნოტები, პოლიეთილენის პარკები, ღვინის ბოთლის სასაჩუქრე მუყაოს ჩასადებები, სასკოლო კალენდრები (აბიტურიენტების) და სასკოლო რვეულები (აბიტურიენტების),** რომელის რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია *დანართი №1-ში (CPV: 79800000 – ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).*

### 2. მხარეთა მოვალეობები

*2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:*

2.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული უნაკლო მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.1.2. თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, მიმწოდებელი ვალდებულია, გამოასწოროს ეს ნაკლი.

*2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

*2.3. შემსყიდველი ვალდებულია:*

2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.2. უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

*2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:*

2.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებული პოლიგრაფიული მომსახურების შედეგად მიღებული საქონლის ერთეულის ფასები მოცემულია ***დანართი №1***-ში.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **6 600,00** (ექვსი ათას ექვსასი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

**4. ანგარიშსწორების წესი**

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა – უნაღდო.

**5. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მომსახურების გაწევა ხდება ეტაპობრივად/ერთიანად ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2015 წლის **12** ნოემბრისა.

5.2. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) წარდგენა შემსყიდველისათვის.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **ანა კვანჭილაშვილს.**

**6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**7. ხელშეკრულების ინსპექტირება**

7.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს **ანა კვანჭილაშვილს.**

**8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების/პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა**

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5. რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

**10. ფორს-მაჟორი**

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.)

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

**11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა**

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

**12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ;

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

**14. დავების გადაჭრის წესი**

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შემლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

**15. დასკვნითი დებულებები**

15.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

**მხარეთა ხელმოწერები:**

| **შემსყიდველი:** | **მიმწოდებელი:** |
|---|---|
| სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | შპს „ჯეო ქლინ +“ |
| **დავით აფრასიძე** | **გიორგი ცერცვაძე** |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | დირექტორი |

| № | საქონლის (სამუშაოს,მომსახურების) დასახელება | განზომილ ება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ილიაუნის ლოგოიანი კალამი | ცალი | 1000 | 1,20 ლარი | 1200,00 ლარი |
| 2 | ა5 ზომის ზამბარიანი ბლოკნოტი | ცალი | 1500 | 1,30 ლარი | 1950,00 ლარი |
| 3 | პოლიეთილენის პარკები პატარა ილიაუნის ლოგოტიპით ზომა - 28 x23,5 სმ | ცალი | 1000 | 0,45 ლარი | 450,00 ლარი |
| 4 | ღვინის ბოთლის სასაჩუქრე მუყაოს ჩასადები ზომა - 31,8 x47 სმ | ცალი | 200 | 4,00 ლარი | 800,00 ლარი |
| 5 | სასკოლო კალენდარი აბიტურიენტებისთვ-ის - რაოდენობა, ზომა A3 (2000 ცალი ერთი ტიპის, 2000 ცალი მეორე ტიპის | ცალი | 4000 | 0,25 ლარი | 1000,00 ლარი |
| 6 | სასკოლო რვეული აბიტურიენტებისთვის - (2000 ცალი ცალხაზიანი; 2000 ცალი უჯრებიანი). ზომა - 316x235 სმ განშლა | ცალი | 4000 | 0,30 ლარი | 1200,00 ლარი |
| | | | | ჯამი: | 6600,00 ლარი |

**შემსყიდველი:**
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**მიმწოდებელი:**
შპს „ჯეო ქლინ +“

**დავით აფრასიძე**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

**გიორგი ცერცვაძე**
დირექტორი

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## MINISTER OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 1134523 „30" 10 2015

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
დავით აფრასიძეს

ბატონო დავით,

თქვენი 2015 წლის 29 ოქტომბრის №35/1886 წერილის (სარეგისტრაციო N1131011 29.10.2015 წ) პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 50 ცალი ბლოკნოტის, 100 ცალი მუყაოს საქაღალდის, 100 ცალი ჩანთის, 150 ცალი სასაჩუქრე მუყაოს პარკის, 1000 ცალი ბრენდირებული კალმის, 1500 ცალი ბლოკნოტის, 1000 ცალი პოლიეთილენის პარკის, 200 ცალი ღვინის ბოთლის მუყაოს ჩასადების, 4000 ცალი სასკოლო კალენდრის აბიტურიენტებისათვის, 4000 ცალის სასკოლო რვეულის აბიტურიენტებისათვის, 19 ცალი ბანერის, 32 ცალი სტიკერის, 1 ცალი პრესბანერის და 85 ცალი CTP ოფსეტური ფირფიტის (სულ სავარაუდო ღირებულება 17500.00 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვები გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პოობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ლია გიგაური

0102 თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52,
52 Dimitri Uznadze st., Tbilisi, 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ./Tel.: (+995 32) 2 31 89 40